



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო  
კონფერენცია

**სტუდენტთა ქართველოლოგიური კვლევები**

პროგრამა და თეზისები

18 აპრილი  
2019  
თბილისი

საორგანიზაციო კომიტეტი:

**ნანა გაფრინდაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი*

**გიორგი ალიბეგაშვილი**

*სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი*

**დარეჯან თვალთვაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი*

**რამაზ ქურდამე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი*

**თინათინ ზოლქვაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

**ეკატერინე ნაეროზაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და  
განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი*

**ნინო პოპიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და  
განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი  
(საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)*

**რეგლამენტი:**

მოხსენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა ქართული

18 აპრილი

10<sup>30</sup> – 11<sup>00</sup>

## რეგისტრაცია

*ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია*

11<sup>00</sup> – 13<sup>30</sup>

## კონფერენციის გახსნა მისალმებები

I სხდომა

სხდომის თავმჯდომარე –

ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი

**ლიკა შონია, მაგისტრატურა**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

პირობითი დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა და სემანტიკა  
მეგრულსა და სვანურში (ქართულთან მიმართებით)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი

**ანანო ბაქრაძე**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ორფუმიანი ბრუნების საკითხისათვის თანამედროვე სვანთა  
მეტყველებაში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი

**თამარ ჩანქსელიანი, მაგისტრატურა**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი  
ნაწილაკების მრავალფეროვნებისთვის სვანურში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი

**მარიამ რაქვიაშვილი, ბაკალავრიატი**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

ბაზისურ ფერთა სისტემის კვლევის ახალი გზის შესახებ ქართულ  
ენაში

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ზურაბ ბარათაშვილი

ქეთი საყევარიშვილი, ბაკალავრიატი  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ენის როლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენათა  
მეცნიერულ შესწავლაში  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია

II სხდომა  
14<sup>00</sup> – 17<sup>30</sup>

სხდომის თავმჯდომარე –  
ასოცირებული პროფესორი ქეთევან სიხარულიძე  
ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია

მარიამ მაჭავარიანი, ბაკალავრიატი  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ტატა ჩრდილელი, ბაკალავრიატი  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
დაგნი იული – თანამედროვე და უახლესს ქართულ–ნორვეგიულ  
ლიტერატურაში  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ანა გოგოლაძე, ბაკალავრიატი  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
პლოტინის კომენტარი პლატონის „ნადიმზე“  
ხელმძღვანელი: პროფ. ლელა ალექსიძე

მარიამ გოჩიაშვილი, მაგისტრი  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ლოცვის ფენომენი ქართულ პოეზიაში  
(ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების განხილვის საფუძველზე)  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

თინათინ სამთელაძე, მაგისტრატურა  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ხარი ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში  
ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ქეთევან სიხარულიძე

### III სხდომა

14<sup>00</sup> – 17<sup>30</sup>

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

*ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 202-ე აუდიტორია*

**ანა გოგილაშვილი, ბაკალავრიატი**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**ჰუმანიტარული მეცნიერებები თანამედროვე ეპოქაში:**

**გლობალიზაციური პროცესები და დიგიტალიზაცია**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

**ანი დათუნაშვილი, ბაკალავრიატი**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**ტრაგიკულობის ასახვის თავისებურებები მხატვრულ ტექსტში**

**(ეგნატე ნინოშვილის, შიო არაგვისპირელისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მიხედვით)**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

**ელენე ბეროზაშვილი, ბაკალავრიატი**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**მინიმალისტური ტენდენციები ლიტერატურაში**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

**ბორის კომახიძე, მაგისტრატურა**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**რელიგია და თანამედროვე ქალაქის სახის ფორმირების**

**თავისებურებები (ბათუმის მაგალითზე)**

ხელმძღვანელი: ანთროპოლოგიის დოქტორი თეა ქამუშაძე

**გიორგი ვახტანგაშვილი, ბაკალავრიატი**

*თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

**ტოპონიმებით გადმოცემული ყოფა და ისტორია (სოფელ ერედვის**

**ტოპონიმის მაგალითზე)**

ხელმძღვანელი: ანთროპოლოგიის დოქტორი თეა ქამუშაძე

ანანო ბაქრაძე

## ორფუძიანი ბრუნების საკითხისათვის თანამედროვე სვანთა მეტყველებაში

ქართველურ ენათა შორის სვანური ერთადერთი ენაა, რომელსაც ორფუძიანი ბრუნება ახასიათებს. თავის დროზე ა. შანიძე წერდა: „...ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეულ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“. სირთულე უკავშირდება როგორც თავად სისტემას, ისე ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებას. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით მრავალი მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ამიტომაც საკითხი დღესაც ლინგვისტთა ყურადღების ცენტრშია.

როგორც ცნობილია, ბრუნების მხრივ, კილოთა შორის მნიშვნელოვანია ზემოსვანური დიალექტები, სადაც კარგადაა წარმოდგენილი ორფუძიანი ბრუნებისთვის დამახასიათებელი სისტემა. რაც შეეხება ქვემოსვანურს, აქ არაერთგზის გამოითქვა აზრი, რომ ადგილი აქვს უნიფორმაციას - ბრუნების დაყვანას ერთ სისტემაში. ჩვენი ნაშრომის მიზანია აღნიშნული ტენდენციის აღწერა თანამედროვე სვანთა მეტყველების მიხედვით.

მესტიის მუნიციპალიტეტში სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში სხვადასხვა ასაკის, დიალექტისა თუ კილოკავის წარმომადგენელი მთქმელების მეტყველებაზე დაკვირვებამ ბრუნვათა გაფორმების თვალსაზრისით, აჩვენა, რომ იმ დიალექტებში, სადაც ორფუძიანობა ისტორიულად მყარი კატეგორიაა, შესაძლოა, ოდნავი რყევა მართლაც შეინიშნება, მაგრამ ეს ხშირად იდიოლექტს წააგავს და არა ტენდენციას. უფრო მეტიც, საანალიზო ფორმების გამოყენების შემთხვევები დასტუდება იმ რესპოდენტთა მეტყველებაშიც, რომელთა დიალექტისთვისაც ეს ნაკლებ დამახასიათებელია.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ ორფუძიანი ბრუნების თანამედროვე მდგომარეობაზე სვანური ენის დიალექტების მიხედვით და ექსპედიციაში მოპოვებულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს საანალიზო საკითხთან დაკავშირებით.

## ელენე ბერობაშვილი

### მინიმალისტური ტენდენციები ლიტერატურაში

პოეზია ყოველთვის განიცდის ტრანსფორმაციას. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ლექსის ფორმა, შინაარსი, ხასიათი. ტექნოლოგიებისა და ახალი მედიის განვითარებამ კი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე. დიგიტალურმა ეპოქამ სათქმელის შემოკლებამდე მიგვიყვანა. მინიმალიზმი, სიტყვების შეზღუდული რაოდენობა, თანამედროვე აზროვნების, მათ შორის, პოეტური მეტყველების ძირითად მახასიათებლებად იქცა. მინიმალიზმი შეიძლება გამოიხატოს ანდაზებში, გამოცანებში, აფორიზმებში, მეტაფორებში.

მოხსენების მიზანია სწორედ პოეზიისა და მინიმალიზმის ურთიერთმიმართების განიხილვა, მინიმალისტური ტექსტების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენა, რომელთა შორისაა მოკლე და შეკვეცილი ფორმები, ენობრივი თამაშები. მოხსენებაში შევეხებით ენობრივი თამაშებისა და ერთ მანიპულაციის საკითხსაც. ენობრივი თამაშებით ხდება ენის დეკონსტრუქცია და რეკონსტრუქცია. ერთ ბგერასაც კი შეუძლია შეცვალოს აზრი. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ენობრივი თამაშის რამდენიმე მაგალითს თანამედროვე ქართველი ავტორების, ცირა ბარბაქაძის, პაატა ნაცვლიშვილისა და სხვ. ტექსტებიდან.

## ანა გოგილაშვილი

### ჰუმანიტარული მეცნიერებები თანამედროვე ეპოქაში: გლობალიზაციური პროცესები და დიგიტალიზაცია

ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება და ასახავს ადამიანისა და სოციუმში მის საქმიანობას. ზუსტი მეცნიერებებისაგან განსხვავებით, სადაც ძირითადი მიმართებებია სუბიექტსა და ობიექტს შორის, ჰუმანიტარული მეცნიერებები განიხილავს მიმართულებებს სუბიექტსა და სუბიექტს შორის, რის გამოც იკვეთება ინტერსუბიექტური ინტერესები, დიალოგურობა.

მიხაილ ბახტინი ნაშრომში „ჰუმანიტარული მეცნიერებების ფილოსოფიური საფუძვლები“ აღნიშნავს: „ჰუმანიტარული მეცნიერებების საგანი არის ექსპრესიული და მოლაპარაკე ყოფა, რომელიც

არასოდეს ემთხვევა საკუთარ თავს“. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე აშკარაა ჰუმანიტარული მეცნიერებების სწრაფვა განვითარებისკენ, რაც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულად გამოიხატა.

გლობალიზაციისა და მასობრივი კომუნიკაციების ეპოქაში ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარება ემყარება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, ფიქსირებასა და კვლევას,

ბოლო ხანს განსაკუთრებულად აქტუალურია რიტორიკის, წერიტი და ზეპირი მეტყველების განვითარების თავისებურებები, რაც უახლეს სამეცნიერო ტენდენციებში აქტუალურად არის გამოხატული. მოხსენებაში ვისაუბრებთ წერიტი მეტყველების განვითარების თანამედროვე ასპექტებზე, იმ ეპოქალურ ტენდენციებზე, რაც აქტუალურია გლობალიზაციურ ეპოქაში.

## ანა გოგოლაძე

### პლოტინის კომენტარი პლატონის „ნადიმზე“

მოხსენების მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ აქვს გააზრებული ნეოპლატონური სწავლების ფუძემდებელს - პლოტინს ეროსი.

როგორც ცნობილია, პლოტინი საკუთარ თავს პლატონის განმმარტელებს უწოდებს, მაგრამ პლატონური ნააზრევის თავისეული ინტერპრეტაციით იგი გვთვაზობს სრულიად ახალ მოძღვრებას. პლოტინი კომენტარს უწერს პლატონის „ნადიმს“ და აქედან იგი ავითარებს თავის მოსაზრებებს სიყვარულზე და ქმნის ტრაქტატს „ეროსის შესახებ“. III ენეადის მე-5 ტრაქტატი მთლიანად ეძღვნება ეროსს.

თავდაპირველად, პლოტინი საკითხს შემდეგნაირად აყენებს: სვამს კითხვას თუ რა არის ეროსი? პლატონისეული ეროსის განმარტება პლოტინს გაგებული აქვს ასე, რომ ეროსი არა მარტო სულებში ჩასახული განცდაა, არამედ იგი დემონიც არის. პლოტინი განმარტავს იმას, თუ რა განცდაა, რომელიც სულში სახლდება. ეს განცდა, რომელიც სულებში სახლდება, ამბობს პლოტინი, მისწრაფვის მშვენიერებასთან შეერთებისკენ, შერწყმისკენ ოღონდ განცდის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მშვენიერებას არის ზიარებული, ნაწილი - ცუდი საქმისკენ ისწრაფვის. პლოტინი ცდილობს გაარკვიოს თუ საიდან იღებს დასაბამს ეროსის ეს ორი სახეობა.



პლოტინი ხაზს უსვამს, იმას რომ ეროსი იშვა არა აფროდიტესგან, არამედ აფროდიტეს დაბადების დღეზე, პენეასა და პოროსისგან. პლოტინი განასხვავებს ორ აფროდიტეს, ამათგან ერთი ზეციურია, დედა არ ჰყავს, კრონოსისგან წარმოდინდება, იგი წმინდაა, ზეციური გონებისგან ნაშობია. ხოლო მეორე - ამქვეყნიურია, ზევსისა და დიონსეს ასულია. ზეციური აფროდიტე წმინდაა, მისი არსება მატერიას არაა ზიარებული და ამიტომაც პლოტინი მიიჩნევს, რომ მას უნდა ეწოდოს „ღმერთი“. და რადგან მისი არსება თავისთავადია, გონებასთან ახლოსაა, ამიტომაც მისთვის დამახასიათებელია მშვენიერებისკენ მისწრაფება.

პლოტინთან ეროსი, პლატონისგან განსხვავებით, გააზრებულია შემდგენირად: თუ პლატონთან ეროსი ღვთაებრივისკენ სწრაფვაა მისი შეცნობისთვის, პლოტინთან - სიყვარულის არსებობა სიკეთითაა განპირობებული. საბოლოოდ კი, ასკენის პლოტინი, ეროსი მატერიალური არსებაცაა და სულიდან წარმომდგარი დემონიც, სიკეთის ნაკლუფანების გამოა, რომ იგი მისწრაფვის მშვენიერებისკენ.

ამგვარად, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება პლოტინის - პირველი დიდი ნეოპლატონიკოსის მიერ გააზრებული და ინტერპრეტირებული პლატონური „ეროსი.“

## მარიამ გოჩიაშვილი

### ლოცვის ფენომენი ქართულ პოეზიაში (ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების განხილვის საფუძველზე)

ქართულ პოეზიაში მრავალი საინტერესო თემის ამოკითხვა შეიძლება. ბევრი მათგანი არაერთი მკვლევრის მიერაა დამუშავებული, თუმცა საკითხი, რომელსაც მოხსენება მივუძღვენი, სამეცნიერო წყაროებში მხოლოდ ცალკეულ ავტორთა შემოქმედების განხილვისას გვხვდება, ამიტომ მან განსაკუთრებით მიიქცია ჩვენი ყურადღება.

ქართული ლიტერატურა რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა განმსჭვალული, ამაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. რ. სირაძე ნაშრომში „ყოფიერების სახეობრივი კონცეფცია“ მიმოიხილავს ცნობილ ქართველ მწერალთა შემოქმედებას და დასკვნის სახით გვიჩვენებს, რომ მთელ ქართულ ლიტერატურას ბიბლია მსჭვალავს.

ჩვენი კვლევის თემა ქართველ რომანტიკოსთა პოეზიას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ბევრ მსგავსებასთან ერთად, განსხვავებებიც გვხვდება. სამი ავტორის: ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილისა და

გრ. ორბელიანის შემოქმედების გარჩევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ რომანტიზმში ლოცვის საინტერესო ნიმუშებს ვპოულობთ.

## ანი დათუნაშვილი

### ტრაგიკულობის ასახვის თავისებურებები მხატვრულ ტექსტში (ეგნატე ნინოშვილის, შიო არაგვისპირელისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მიხედვით)

ტრაგედიის ასახვის თავისებურებები გადმოცემულია მრავალი ასპექტით, მათ შორის, როგორც რეალიზმის, ისე ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ექსპრესიონისტული მიმართებებით.

ძირითადი სამსჯელო თემატიკა, რომელზეც საკონფერენციო თემაში ვისაუბრებთ, არის შემდეგი:

- ტრაგედიის, როგორც სულიერი კათარზისის განცდა;
- ადამიანის არსებობის საზრისი;
- სიკვდილ-სიცოცხლის იდეის გააზრება;
- ღირსებისა და ღირებულებების საკითხები, გამომდინარე ჰაიდგერის კონცეფციიდან: ადამიანის ადამიანობა მხოლოდ მის ღირსებაში მჟღავნდება და მასში თანაარსებობს;
- არსებული ტრადიციები, საზოგადოების მსოფლმხედველობა, სოციუმის პრობლემა;
- ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების დეგრადაციის, სულიერი კრიზისისა და ტრაგედიის წარმოჩენის თავისებურებები;
- სიყვარულის თემა.

მოხსენებაში განვიხილავთ: კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებს: „ლილ“, „მკვდართან შეხვედრა“, „ზარები გრიგალში“ ; ეგნატე ნინოშვილის: „ქრისტინე“, „გოგია უიშვილი“, „პარტახი“, შიო არაგვისპირელის: „ადე ჩამოვიდა“, „ ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“, „მომილოცნია ახალი წელი,“ „ყველაი დავკარგე,“, „ხითხითებს და ხითხითებს“.

ვისაუბრებთ იმ ზნეობრივ თუ სოციალურ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც მწერლების მიერ დახატული პერსონაჟების სახით, მთელი კაცობრიობა დგას. გავავლებთ პარალელებს ტრაგედიის ასახვის თავისებურებებზე, ასევე იმ მსოფლმხედველობასა და ეპოქაზე, რომელშიც იქმნებოდა დასახელებული ლიტერატურული ტექსტები.

## გიორგი ვახტანგაშვილი

### ტოპონიმებით გადმოცემული ყოფა და ისტორია (სოფელ ერედვის ტოპონიმის მაგალითზე)

სოფელი ერედვი ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს. 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში (ბერულის სასოფლო საბჭოში), შემდეგ კი გორის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „[ამ] მთის ძირში, ცხინვალის აღმოსავლეთით, პატარა ლიახვისკენ არის ერედვის ციხე და მასში სასწაულმოქმედი ეკლესია წმინდა გიორგისა.“ ერედვის შესახებ ცნობებს ვხვდებით სხვა ისტორიულ წყაროებშიც (მათ შორისაა იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერა,“ იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ და სხვა). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ერედვი და მისი მეზობელი ქართული სოფლები საოკუპაციო ხაზს მიღმა აღმოჩნდნენ და ეს ტერიტორია მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს დევნილ მოსახლეობასთან ჩატარებული სავსე სამუშაოების შედეგად შეგროვებული მასალის (რომლის ნაწილიც დაიბეჭდა სტუდენტთა ონომასტიკურ ძიებაში იხ. ქართველური ონომასტიკა VIII, „უნივერსალი“, თბილისი 2017) ნაწილის (ტოპონიმის) ეთნოლოგიური ანალიზის საფუძველზე, წარმოჩენილ იქნეს წარსულში ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ყოფისა და კულტურის, განსაკუთრებით კი განსახლების ფორმის, სოფლის მეურნეობისა და რელიგიურ დღესასწაულთა თავისებურებანი. კვლევის პროცესში შეგროვებული მასალა შეჯერებულ იქნა სოფელ ერედვის შესახებ მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრში დაწერილ ერთ-ერთ წიგნთან, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა ამ სოფლის ტერიტორიაზე წარსულში დაფიქსირებული ტოპონიმების შედარება ახალ მონაცემებთან. ტოპონიმების შესახებ ინფორმაცია მოძიებულ იქნა 2017 წელს რამდენიმე ადგილას (მათ შორის წეროვნის დევნილთა ჩასახლებასა და თბილისში), იძულებით გადაადგილებულ პირებთან ჩაწერილი ინტერვიუების საფუძველზე.

## ბორის კომახიძე

### რელიგია და თანამედროვე ქალაქის სახის ფორმირების თავისებურებები ბათუმის მაგალითზე

თანამედროვე ქალაქის სახის ფორმირება საქართველოში პოსტსოციალისტურ ტრანზიციასთანაა დაკავშირებული.

საბჭოთა სისტემის მოშლამ და პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ცვლადობამ გავლენა იქონია კულტურასა და ადამიანის იდენტობაზე, რაც ყველაზე უკეთ რელიგიურ პრაქტიკაში ვლინდება. საბჭოთა ათეიზმი პოსტ-საბჭოთა სისტემაში ადამიანთა რელიგიისაკენ მიბრუნებით შეიცვალა, რამაც ურბანულ სივრცეების ტრანსფორმაცია გამოიწვია. ამ პროცესის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ბათუმია, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია რელიგიური მრავალფეროვნების მხრივ.

მოსახლეობის „რელიგიისაკენ მიბრუნებამ“, ბათუმში სხვადასხვა სახის საკითხები გახადა აქტუალური, მაგალითად: რელიგიური სივრცეების მფლობელობის, ახალი სივრცეების ფორმირების ან შეცვლის პრობლემატიკა.

მოხსენება რამდენიმე საკითხს ეხება:

პირველ რიგში განხილულია რელიგიური კულტურული მემკვიდრეობის საკითხი ბათუმში თანამედროვე მშენებლობებისა და ურბანული განვითარების ფონზე.

მეორე საკითხი ეხება რელიგიური ჯგუფების ურთიერთობასა და მათ გამოვლინებას ურბანულ სივრცეში.

ისტორიული და თანამედროვე გამოცდილების ფონზე განხილულია ქალაქში არსებული ისეთი რელიგიური ჯგუფები, რომლებსაც საკულტო ნაგებობები გააჩნიათ.

მართლმადიდებლური თემის შემთხვევაში განხილულია ფორმალური და არაფორმალური საკულტო ადგილები, მათი განაწილება ძველ და ახალ უბნებში, ასევე ამ რელიგიური თემის ურთიერთობა სხვა რელიგიურ ჯგუფებთან, ფორმალურ და არაფორმალურ დონეზე.

მუსლიმური თემის შემთხვევაში განხილულია რელიგიური ორგანიზაციები, საგანმანათლებლო საკითხები და ახალი მეჩეთის მშენებლობის პრობლემატიკა, რომელიც თანამედროვე ბათუმისთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს.

ებრაული თემის შემთხვევაში განხილულია ებრაელთა ემიგრაციის ფონზე ჩამოყალიბებული ახალი ტიპის ურთიერთობები თემს შიგნით და ასევე, ქალაქში არსებული ორივე სინაგოგის მნიშვნელობა თანამედროვე ყოფაში.

კათოლიკური თემი განხილულია მართლმადიდებლურ თემთან ურთიერთობის კონტექსტში. აქცენტი გაკეთებულია საკათედრო ტაძრის მფლობელობის პრობლემატიკასა და ახალი სივრცის ორგანიზებაზე.

სომხური რელიგიური თემის შემთხვევაში განხილულია ურთიერთობები ეკლესიის ცენტალურ მმართველობასთან და მათი გამოვლინება ბათუმში.

პროტესტანტული ელესიიდან განხილულია 50-იანელთა თემი, საკრალური სივრცის ტრანსფორმაციის კონტექსტში.

საკითხი მთლიანობაში შესწავლილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ახალი რელიგიური სივრცეების ფორმირების კონტექსტში.

## **მარიამ მაჭავარიანი, ტატა ჩრდილელი**

### **დაგნი იული – თანამედროვე და უახლესს ქართულ– ნორვეგიულ ლიტერატურაში**

ისტორიის განმავლობაში მრავალმა ადამიანმა შეცვალა თაობათა აზროვნება და სხვადასხვა ეპოქის წამყვან, გარდამტეხ ფიგურად იქცა. მნიშვნელოვანი ფიგურები კი გაუცნობიერებლად ახდენენ სხვების შემოქმედებით ცხოვრებაზე გავლენას.

იმისათვის რომ დავამტკიცოთ ან უარვყოთ ჰიპოთეზა, გვსურს, განვიხილოთ ნორვეგიელი ქალი მწერლის – დაგნი იულის ცხოვრება–შემოქმედება. აღსანიშნავია, მისი როლი თანამედროვე ნორვეგიულ, ქართულ და ასევე შვედურ ლიტერატურაში. დაგნმა, რომელიც მრავალი მწერლის/მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა, მნიშვნელოვნად განსაზღვრა, ისეთ ხელოვანთა ცხოვრება, როგორებიც იყვნენ: ედვარდ მუნკი, კნუტ ჰამსუნი, ავგუსტ სტრინდბერგი. იგი ედვარდ მუნკის მუზა იყო, კნუტ ჰამსუნის „მისტერიების“ დაგნი შელანდის პროტოტიპი. იულმა, თავისი ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, შეძლო და მნიშ-

ვენელოვანი კვალი დატოვა არა მარტო სკანდინავიურ, არამედ – ქართულ ლიტერატურაშიც. ტრაგიკული ცხოვრება იულმა საქართველოში დაასრულა. მისი სახელი დიდი ხნის განმავლობაში მივიწყებულ იყო. 90-იან წლებში მისი საფლავი ანდრე კარბელაშვილმა იპოვა. ამ დროიდან მოყოლებული არაერთი წერილი, სტატია, პიესა თუ მოთხრობა დაიწერა დაგნ იულზე, მათ შორის ზურაბ ქარუმიძის რომანი: „დაგნი – სიყვარულის დღესასწაული“, რომელშიც მწერალი ამ ლეგენდარული ქალის ისტორიას გადმოსცემს.

## **მარიამ რაქვიაშვილი**

### **ბაზისურ ფერთა სისტემის კვლევის ახალი გზის შესახებ ქართულ ენაში**

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად იპყრობს ფერთა საკითხი ენათმეცნიერთა ყურადღებას, რომელთა შორის აღსანიშნავია კეი და ბერლინი. მათ დაუდეს საფუძველი ახალ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფერის ტერმინთა სისტემის ტიპს განსაზღვრავს ბაზისური ფერის ტერმინები, რომლებიც, როგორც წესი, მონოლექსემური, ფართოდ გავრცელებული და ყველასათვის ერთნაირად გასაგებია.

საინტერესოა ქართულ ენაში რამდენი ტერმინია ბაზისურ ფერთა აღსანიშნავად. ამის შესახებ ვრცელი კვლევა ეკუთვნის ეთერ სოსელიას, რომელმაც სინქრონული კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ფერის ტერმინთა ქართული სისტემა მეექვსე დონისაა, რომელშიც ბაზისურ ტერმინებს წარმოადგენენ თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი.

ამ ფერთა შორის საინტერესოა ყავისფერი, რომელიც ერთი შეხედვით, არ ჰგავს ბაზისურ ფერს, თუმცა ინფორმატა გამოკითხვის შედეგად და ინგლისურ ენათა პარალელის საფუძველზეა, კეისა და ბერლინის წარმოდგენილ კრიტერიუმთა მიხედვით, ბაზისურ ტერმინად ჩაითვალა.

ასევე, ფერთა სისტემის ენაზე ქართველურ ენებში საინტერესო კვლევები ეკუთვნის ეთერ სოსელიას. ჩემი თემის მიზანი კი ისაა, რომ მისი ბაზისურ ფერთა სისტემა გადავამოწმო თანამედროვე ქართული ენის კორპუსის მიხედვით, გამოვიტანო დასკვნები და დავადგინო,

რამდენად თანხვდება კეისა და ბერლინის თეორია ფერთა გამოყენების სიხშირეს ქართულის მიხედვით.

მაგალითად, თეთრი გამოყენებულია 57 - ჯერ, წითელი 59- ჯერ , ყავისფერს კი, მიუხედავად იმისა რომ ბაზისურ ფერადაა ჩათვლილი, თანამედროვე ქართული ენის კორპუსში მხოლოდ ორჯერ ვხვდებით.

საინტერესოა, რა განაპირობებს აღნიშნულს, ან საერთოდ არის თუ არა ყავისფერი ბაზისური ფერი, რასაც უფრო ვრცლად ჩემს მოხსენებაში გაეცნობით.

## თინათინ სამთელაძე

### ხარი ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში

ფოლკლორული მემკვიდრეობა ყველა ერისთვის მნიშვნელოვანი და საამაყო წარსულის კვალია. ესაა იმ ტრადიციებისა თუ წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რითაც განსხვავდება ერთი კულტურა მეორისგან, თუმცა ამსთანავე გვიჩვენებს უამრავ მსგავსებასაც. მსგავსებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კულტა დაარსება და მათი თავყვანისცემის მოტივები. მსოფლიოში გავრცელებულ კულტებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ხარს, რომელიც სიმლიერის, ამტანობის, სიკეთისა და ერთგულების სახედაა ქცეული. მრავალ რელიგიაში, მათ შორის ქართველთა წარმართულ პანთეონში, მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა, როგორც გაღმერთებულ არსებას.

მოხსენების მიზანია გვიჩვენოს ხარის კულტის მნიშვნელობა და გავრცელების სიხშირე ქართულ რეალობაში. თუ როგორ შევიდა იგი სხვადასხვა წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შედეგად, ჯერ ფოლკლორულ ტექსტებში, ხოლო შემდეგ მათი უშუალო გავლენითა და ზემოქმედებით მხატვრულ ლიტერატურაში.

ამდენად, ნაშრომში გაშლილია მსჯელობა ხარის კულტის მნიშვნელობაზე და ლიტერატურაში მისი ასახვის შემთხვევებზე. შეძლებისდაგვარად, მოძიებულია ქართულ ყოფაში ხარის კულტის არსებობის დამადასტურებელი ყველა შემთხვევა და ასევე მხატვრულ თუ ფოლკლორულ ნაწარმოებებში მისი ასახვის შემთხვევები.

## ქეთი საყვარლიშვილი

### ქართული ენის როლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერულ შესწავლაში

ქართული თავისი ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიციებით, ორიგინალური დამწერლობის ისტორიითა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით კავკასიოლოგიაში სამართლიანადაა აღიარებული ძირითად იბერიულ-კავკასიურ ენად.

გამოვლენილია კანონზომიერი და რეგულარული ზერათშესატყვისობები ქართველურ და ე. წ. მთის კავკასიურ ენებს შორის. მზადდება იბერიულ-კავკასიურ ენათა სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რაც საბოლოოდ დაადგენს ქართველურ ენათა გენეტიკურ კავშირს აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტურ ენებთან.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევაში ქართული ენის მონაცემთა მნიშვნელობა განუზომელია. დოკუმენტურად დადასტურებული გამომული ტექსტი V საუკუნიდან გვაქვს („შუმანიკის წამება“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“...), რაც გვამღევეს საშუალებას, თვალი გავადევნოთ ქართული ენის ლექსიკური ცვლილებების დინამიკას.

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან განსხვავებით, ძველ ქართულ ტექსტებში გამოიყოფა ლექსიკური პლასტი, რომლის მნიშვნელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევაში ფასდაუდებელია. დღემდე პროდუქტიულ და ხმარებიდან გამოსულ ლექსიკურ ერთეულებს შორის ძველქართულ მასალაში ჩანს საერთოკავკასიური როგორც საკუთარი, ისე ენობრივი კონტაქტებისას ნასესხები ერთეულები (ქართველურიდან – მთის კავკასიურ ენებში და პირიქით).

ძველი ქართული წერილობითი წყაროები არა მხოლოდ ლექსიკური თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის თავისებურებათა ჩვენებითაც, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერულ შესწავლაში, კერძოდ: საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირ-ფუძემდებში ფონემური შესატყვისობების, გრამატიკული კლას-კატეგორიის ისტორიის, ერგატიული კონსტრუქციისა და სხვა არაერთი საკითხის კვლევისას.

ამასთანავე, ქართულსა და მის მონათესავე ენათა შორის ურთიერთმართებების განხილვა საყურადღებოა ზოგადენათმეცნიერული რაკურსითაც.



## ლიკა შონია

### პირობითი დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა და სემანტიკა მეგრულსა და სვანურში (ქართულთან მიმართებით)

პირობითი დამოკიდებული წინადადება გვაცნობს პირობას, რომელზეც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებულია პირობა, მთავარში კი - შედეგი. დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება დავუსვათ კითხვა: რა შემთხვევაში? (რა პირობებში?). ქართულ ენაში პირობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: *თუ, რომ, თუკი, უკეთუ, თორემ, როდესაც* და სხვა კავშირები. გასაკუთრებით ხშირად *თუ* და *რომ* გამოიყენება. დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი კავშირით არის შეერთებული მთავართან. საზოგადოდ, პირობით დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს ან მოსდევს, მაგრამ ზოგჯერ მისი ადგილი განსაზღვრულია. მთავარი წინადადება, რომელსაც ახლავს პირობითი დამოკიდებული წინადადება, შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა, კითხვით-ძახილისა. ზოგჯერ მთავარი წინადადება უზმნოა. მეგრული და სვანური ენები, ქართულთან შედარებით, კავშირთა დიდი რაოდენობით არ გამოირჩევიან. მეგრულში შეიძლება დასახელდეს სულ რამდენიმე: *-ნი* - „*რომ*“, *ნამუდა* - „*რომ*“, *-და* - „*თუ*“. ასევე *-და*-თი მიღებული რთული კავშირები: *-ვარდა, ვარა* - „*თუ არადა/თორემ*“, ამათგან, პირობით დამოკიდებულთან კონსტრუქციაში მონაწილეობს ყველა, *-ნამუდა*-ს გარდა. სვანურში პირობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან კავშირიანი შეერთების შემთხვევაში აერთებს კავშირები: *ლახ* - „*თუ*“, *ჰემა* - „*თუ*“, რომელთა განაწილებას კონტექსტი განაპირობებს.

სხვა ქართველურ ენებშიც დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა და ჯგუფები ქართულის მსგავსია; გარკვეულწილად განსხვავებას აჩვენებს მხოლოდ სვანურის მონაცემები, სადაც შეერთება მთავარ და დამოკიდებულ წინადადებას შორის ხშირად უკავშიროა და, ზმნაშემასმენლის მჭკრივის ფორმასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ინტონაციას აკისრია. ეს სურათი განსხვავებულია დიალექტების მიხედვით, თუმცა უკავშირო შეერთების ჩანაცვლება ყველა მათგანში შესაძლებელია.

დამოკიდებული წინადადების თითოეული ჯგუფის დანიშნულე-  
ბაა, ახსნას სხვა წინადადება. მათ თავიანთი დამახასიათებელი ფუნ-  
ქცია და ნიშნები აქვთ:

- შინაარსობრივი მხარე.
- კავშირი.
- კითხვის დასმა.
- მარტივ წინადადებად გადაკეთებისას დამოკიდებული

წინადადების გადაქცევა იმავე ფუნქციის წინადადების წევრად.

საანალიზო მასალად აღებულია გამოცემული ტექსტები და  
ექსპედიციის ჩანაწერები.

## თამარ ჩანქსელიანი

### შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი ნაწილაკების მრავალფეროვნებისთვის სვანურში

მეტყველების ნაწილთა შორის არც თუ ისე მნიშვნელოვანი ადგი-  
ლის მქონე დამხმარე მეტყველების ნაწილი - ნაწილაკი - საკმაოდ საინ-  
ტერესო ინფორმაციას გვაწვდის ენის ისტორიის უძველეს ფაქტებზე.  
ის დაერთვის ამა თუ იმ სიტყვას ან მთელ წინადადებას და სხვა ელ-  
ფერს აძლევს მას მნიშვნელობის მხრივ. ნაწილაკი შეიძლება იყოს ცალ-  
კე მდგომი ან სიტყვასთან შერწყმული. გვხვდება ყველა მეტყველების  
ნაწილთან და წინადადების წევრი არ არის.

ნაწილაკთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უკუთქმით  
ნაწილაკებს, რომელთა რაოდენობაც სვანურში ქართულთან შედარე-  
ბით ბევრად მეტია და სწორედ მათი საშუალებით გამოიხატება წინა-  
დადების უკუთქმითობაც. მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდუ-  
ლობას ქართულში გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“, სვანურში  
კი ამ ნაწილაკის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა  
და იმავე დიალექტში, ასევე კილოების მიხედვით: *დეშ*, *დოშ* (ბზ., ქსვ.),  
*მადშ-მანქ/მანქ*, *მადჩ/მანთშ*, *მანჩ/მანჩ*, *მანშ* (ლნტ.), *დეშსა*, *დეშმა*, *მეშმამ*  
(ლშხ.); მათ შორის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული ოთხივე  
დიალექტში არის *დეშ*.

თუ ქართულში უარყოფითი ნაწილაკი ვერ შესაძლებლობის შეზღუდულობის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურის უალტერნატივო შემადგენელი ნაწილია, რომელიც შესაბამის სემანტიკას განაპირობებს ნაცვალსახელში, სვანურში მისი შესატყვისი დემ (და მისი დიალექტური ვარიანტები) ერთადერთი ნაწილაკი არაა, რომელიც ამ ტიპის უარყოფით ნაცვალსახელთა შემადგენლობაში შედის. იგი აღნიშნულ ნაცვალსახელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის შემადგენლობაში დასტურდება (ზს. დეშიარ „ვერაჟინ“, დეშმა, დეშმაგვეშ „ვერაჟერი“)....; ენაში საანალიზო სემანტიკისთვის არსებობს სტრუქტურა: ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი+ნაწილაკი „მოშ“;

მოხსენებაში სათანადო ემპირიული მასალაზე დაყრდნობით ვრცლად იქნება საუბარი იმაზე, თუ რა განაპირობებს ამ ნაწილაკთა მრავალფეროვნებას სვანურში და მათ შორის მხოლოდ ფონეტიკური სხვაობაა თუ სემანტიკურ დიფერენციაციასთან გვაქვს საქმე.

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tshavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 04 84, 6278

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)